

მასობრივი მიყურადება და დიდი მონაცემების შეგროვება უახლესი
ტექნოლოგიების პირობებში - გამოწვევა პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობის უფლებისთვის

ელენე დავითაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე დავითაშვილი

18/01/2023

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში მუდმივად მზარდია ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება. პარალელურად, გაიზარდა მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ინტენსივობა, ხარისხი და საშუალებები. შესაბამისად, იქმნება საშიშროება იმისა, რომ სახელმწიფოსა თუ კერძო აქტორების მხრიდან შეგროვებული მონაცემების მასობრივი მიყურადების მიზნით გამოყენებით მოხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში არალეგიტიმური ჩარევა, ვინაიდან, ერთი მხრივ, მარტივდება მიყურადების განხორციელება, ხოლო, მეორე მხრივ სახელმწიფოსა თუ კერძო პირებს შესაძლოა გააჩნდეთ მიყურადების განხორციელების საკუთარი ინტერესები.

მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდებსა და ტექნოლოგიებს შორის, დიდი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს წამყვანი როლი უჭირავს. ერთი მხრივ, დიდი მონაცემების ანალიზით შესაძლებელია ინდივიდის ან პირთა ჯგუფის ინტერესების, სოციალური მიდრეკილებების გამომვლინება, მეორე მხრივ, აღნიშნული მონაცემების დამუშავებელს აძლევს შესაძლებლობას მოიპოვოს დიდი რაოდენობით პირადი სახის ინფორმაცია. ამრიგად, როგორც კერძო აქტორს, ასევე სახელმწიფოს არასათანადო სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში, უადვილდება დიდი მონაცემების ანალიზის შედეგად დამუშავებული ინფორმაციის საკუთარი ინტერესების, მათ შორის მასობრივი მიყურადების მიზნებისთვის გამოყენება.

ნაშრომში გაანალიზებულია ის გამოწვევები, რის წინაშეც დგას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დიდი მონაცემებისა და მასობრივი მიყურადების პირობებში, ის შეუსაბამობები, რაც საკითხის რეგულირებასთან დაკავშირებით არსებობს და ის შესაძლო ჩარჩო, რათა არ მოხდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში არალეგიტიმური ჩარევა როგორც კერძო, ასევე საჯარო აქტორების მხრიდან.

Abstract

In the modern world, dependence on digital technologies is constantly increasing. At the same time, the intensity, quality and purposes of data collection and processing have increased. Accordingly, there is a danger that the use of data collected by the state or private actors for the purpose of mass surveillance will lead to illegitimate interference with the right to privacy, since, on the one hand, it becomes easier to conduct surveillance, and on the other hand, the state or private individuals may have their own interests in conducting surveillance.

Among the methods and technologies of data collection and processing, big data collection and analysis play a leading role. On the one hand, by analyzing big data, it is possible to reveal the interests and social tendencies of an individual or a group of people, on the other hand, it gives the processor of said data the opportunity to obtain a large amount of personal information. Thus, both the private actor and the state, within the framework of improper legal regulation, find it easier to use the information processed as a result of big data analysis for their own interests, including mass surveillance.

The paper analyzes the challenges faced by the right to privacy in the context of big data and mass surveillance, the inconsistencies that exist regarding the regulation of the issue, and the possible framework to prevent illegitimate interference in the right to privacy by both private and public actors.